ქ. თბილისი 13.01.2025

ხელშეკრულება საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემის (დათმობის) შესახებ

1. მხარეებისა და მათი წარმომადგენლების შესახებ

წინამდებარე გარიგების მხარეები არიან:

ა) უფლების დამთმობი:

ალექსანდრე ჩუბინიძე

(პ/ნ 01007011985)

დავით მაქაძე

(პ/ნ 54001058315)

ბ) უფლების შემძენი:

რატი ხეცურიანი - (პ/ნ 49001002583)

გიორგი გეგელაშვილი - (პ/ნ 59001036692)

მუხლი 2. ტერმინთა განმარტების შესახებ:

წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებულ შემდეგ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) მიწის ნაკვეთი: მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ბროწეულის ქ. N3, ფართობი: 602 კვ.მ. საკადასტრო კოდი: № 01.10.11.001.128

ბ) ნაგებობა/შენობა-ნაგებობა: მიწის ნაკვეთზე აღმართული შენობა-ნაგებობა (მიმდინარე).

გ) ავტორი: ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი:

ვინაიდან:

•საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე, რომლებიც წარმოადგენს ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, განურჩევლად ნაწარმოების დანიშნულებისა, ავკარგიანობისა, ჟანრისა, მოცულობისა, გამოხატვის ფორმისა და საშუალებისა.

ალექსანდრე ჩუბინიძე დავით მაქაძე

•საავტორო უფლება გადაიცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით ან და ხელშეკრულებით.

•საავტორო უფლებების გადაცემის შესახებ ხელშეკრულება, უნდა დაიდოს წერილობით.

1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეები ვთანხმდებით შემდეგზე: ალექსანდრე ჩუბინიძე და დავით მაქაძე, როგორც უფლებების გადამცემი (დამთმობი), რატი ხეცურიანს და გიორგი გეგელაშვილს როგორც უფლებების შემძენებს, საქართველოს კანონის თანახმად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ, სრულად უთმობენ მათ საავტორო და მასთან დაკავშირებულ უფლებებს, რომელიც გააჩნიათ არქიტექტურულ ნაწარმოებ(ებ)ზე, რომელიც განთავსებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ბროწეულის ქ. N3, ფართობი: 602 კვ.მ. საკადასტრო კოდი: № 01.10.11.001.128.

2. უფლების გადამცემი პირები აცხადებენ, რომ მათი, როგორც არქიტექტორების მიმართ, ანაზღაურება გადახდილია მიმდინარე დროისათვის და უფლების მიმღებთა მიმართ, არანაირი ფინანსური მოთხოვნა არ გააჩნიათ.

3. მხარეები თანხმდებიან, საავტორო უფლებების დამთმობებს უფლება აქვს ყველანაირი დამატებითი ანაზღაურების გარეშე გამოიყენოს ხელშეკრულების საგნის ვიზუალური (როგორც შიდა, ისე გარე ვიზუალიზაცია) გამოსახულება კომერციული და სარეკლამო მიზნებისთვის, მათ შორის ფოტოსურათების საკუთარ საიტზე, სოციალურ ქსელებში განთავსებით.

6. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

ა) უფლების გადამცემი:

ალექსანდრე ჩუბინიძე (პ/ნ 01007011985)

ალექსანდრე ჩუბინიძე

დავით მაქაძე (პ/ნ 54001058315)

დავით მაქაძე

გ) უფლების შემძენი:

რატი ხეცურიანი - (პ/ნ 49001002583)

გიორგი გეგელაშვილი - (პ/ნ 59001036692)

ორიათასოცდახუთი წლის ჩვიდმეტ იანვარს მე, ნოტარიუს ეკატერინე ჯელაძეს, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზირი 49-51-51ა, სართული 2, მომმართეს ალექსანდრე ჩუბინიძემ (დაბ. 08.07.1985წ. მცხ. ქალაქი თბილისი, ალექსი გოგოლაურის ქუჩა, N 2, ბინა 51, პირადი #01007011985) და დავით მაქაძემ (დაბ. 24.03.2000წ. მცხ. სოფელი მანდაეთი, 24-ე ქუჩის II შესახვევი, N1, პირადი #54001058315). მათ წარმოადგინეს 13.01.2025 წლის ხელშეკრულება საავტორო და მასთან დაკავშირებული უფლებების გადაცემის (დათმობის) შესახებ და მოითხოვეს თავიანთი ხელმოწერების სინამდვილის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მათი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებითა და სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ელექტრონული ბაზის მეშვეობით. მე შევამოწმე მხარეთა ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მხარეებს განემარტათ რომ წინამდებარე აქტით მოწმდება მხოლოდ მათი ხელმოწერების ნამდვილობა, შესაბამისად ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა წინამდებარე დოკუმენტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან დოკუმენტში ხელმომწერთა ნების არაადექვატურად ასახვის გამო. მხარეებს აგრეთვე განემარტათ იმ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, რაც მოჰყვება მათ მიერ არასწორი ფაქტების დადასტურებას. შემდეგ მათ ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს თავიანთი ხელმოწერები.

გადახდილია 42.76 ლარი, მათ შორის სანოტარო საზღაური ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის 2 ეგზემპლიარისათვის (შესრულდა 8 ხელმოწერა) 32.00 ლარი, დღგ 5.76 ლარი და სანოტარო ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლებისა, აგრეთვე საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა.

ნოტარიუსი ეკატერინე ჯელაძე